საქართველოს მთავრობის

დადგენილება №134

2005 წლის 11 აგვისტო

ქ. თბილისი

საბაჟო სფეროში ლიცენზიისა და ნებართვის გამცემი ორგანოს განსაზღვრის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-40 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

1. განისაზღვროს ლიცენზიისა და ნებართვის გამცემ ორგანოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლიცენზიისა და ნებართვის შემდეგი სახეების მიხედვით:

ა) საბაჟო გადამზიდველის საქმიანობის ლიცენზია;

ბ) საბაჟო ბროკერის საქმიანობის ლიცენზია;

გ) უბაჟო საცალო ვაჭრობის ობიექტების საქმიანობის ნებართვა;

დ) საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვა;

ე) საქონლის დროებითი შემოტანის ან/და გატანის ნებართვა;

ვ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების ნებართვა;

ზ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების ნებართვა.

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი ზ. ნოღაიდელი